

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის გოჩა კილაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

უფლებამოსილების ცნობიდან(2014 წლის 2 აგვისტო) დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

2012 წლიდან ვარ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნების“ წევრი . 2014 წლის 5 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამირჩიეს სოფელ სილაურის მაჟორიტარ დეპუტატად , ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს პირველ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ხმით ამირჩიეს საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარედ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2014 წლის აგვისტოდან დღემდე) ჩემს საქმიანობას წარვმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

2014 წლის 12 აგვისტოს საკრებულოს II სხდომაზე დავამტკიცეთ ფრაქციის შემადგენლობა 19 წევრით. ესენი გახლავთ: ლელა საჯაია, შოთა ართმელაძე, ილია მამალაძე, მურად ჩხაიძე, ვახტანგ ნიჟარაძე, ვლადიმერ ჩავლეშვილი, ნუგზარ კალანდარიშვილი, როზეტა სკამკოჩაიშვილი, რესან გაბაიძე, ინგა დუმბაძე, ნუგზარ ურუშაძე, ეროდი გორდელაძე, ბიძინა იმნაიშვილი, ბიძინა გობრონიძე, ტარიელ აროშიძე, ლევან კილაძე, დავით სიხარულიძე, დავით ჭაკნელიძე.

მინდა ორიოდ სიტყვით მიმოვიხილო „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული პროექტები, რომლებიც ნამდვილად მასშტაბური და უპრეცედენტოა:

დღეს საქართველოში დაზღვეულია საქართველოს ყველა მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის მსგავსი პროექტი 2013 წლამდე არ განხორციელებულა. ასევე დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის ექიმებისა და ექთნების შრომის ანაზღაურებას და მათი ხელფასები 30 %-ით გაიზარდა. 10 000 მოქალაქე C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით სარგებლობს 60%-იანი დაფინანსებით და ამ დიაგნოზის მატარებელი პაციენტების მკურნალობა სრულიად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. მოგეხსენებათ, ეს მართლაც საშური საქმე იყო, რადგან ჩვენს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ დიაგნოზით არაერთი პაციმარი იტანჯებოდა და იღუპებოდა. სახელმწიფომ იზრუნა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და შობადობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყოველ მესამე შვილზე ორ წლამდე ფინანსურ დახმარებას მთაში-200, ხოლო ბარში 150 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე. 2013 წლამდე არ განხორციელებულა მსგავსი პროექტი განათლებაში: სკოლის ყველა მოსწავლე ღებულობს უფასო სახელმძღვანელოების სრულ კომპლექტს. 12 000 -მდე სტუდენტი უფასოდ სწავლობს პროფესიულ კოლეჯებში, სახელმწიფო ასევე სრულად აფინანსებს 21 საბაკალავრო პროგრამას უმაღლეს სასწავლებლებში. 1000 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაშინ როცა 2010-2011 წლებში გარემონტდა მხოლოდ 527 სკოლა. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში დაფინანსდა 147 სტუდენტი. 2013-2014 წლებში გლეხებმა მიიღეს 300 მილიონ ლარამდე დახმარება, მოიხნა მიწები, გაიცა კომპენსაციები სოფლის მეურნეობაში მიყენებული ზარალის სანაცვლოდ. გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება. 150 ლარამდე გაიზარდა პენსიონრებისა და I ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პენსია. გაორმაგდა დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობები. შეწყდა პატომართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა. საერთაშორისო სამხედრო მისიებში დაღუპული ჯარისკაცების

ოჯახების კომპენსაცია 15 000-ის ნაცვლად გახდა 100 000 ლარი. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში და საერთაშორისო მისიებში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიური შემწეობა გაორმაგდა და 1000 ლარი გახდა. გაიზარდა დევნილთა შემწეობა; ასევე თითქმის გაორმაგებული თანხები ჩაიდო კულტურისა და სპორტის განვითარებაში.

მინდა ავლნიშნო, რომ ჩვენი ამომრჩევლები ხშირად ახსენებენ, რომ მათთვის არაფერი შეცვლილა უფრო მეტიც, უარესობისკენ წავიდაო. მინდა განვაცხადო, რომ ეს ან დაუნახავობაა, ან სერიოზული უპასუხისმგებლობა და უმადურობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს თავისი არსებობის მანძილზე არ ჰქონია ისეთი ბიუჯეტი, როგორც ახლა ჩვენმა საკრებულომ მიიღო და არც არასდროს განაწილებულა თანხები ისე, როგორც ეს დღევანდელი საკრებულოს სინამდვილეში მოხდა. მახარებს ის ფაქტი, რომ ამ საკრებულოს 19 წევრი ქართული ოცნებიდანაა წარდგენილი და მე „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე ვარ. ეს არის ძალიან საამაყოც და ამავე დროს ძალიან საპასუხისმგებლოც. ჩვენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ დიდი ნდობა გამოგვიცხადა და ვაცნობიერებთ, რომ ამ ნდობას გამართლება სჭირდება.

ფრაქციის სხდომები ტარდება რეგულარულად და ორგანიზებულად. განხილული საკითხები პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 5 სხდომა (მათ შორის 1 ერთობლივი სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებთან „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“ და ფრაქცია „ძლიერი სოფელი“). ფრაქციამ განიხილა საკითხები და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს. აქედან რამდენიმე საკითხი განხილულ იქნა საკრებულოში, რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის დადგენილებებში;

ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფრაქციაა საკრებულოში. მუნიციპალიტეტში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც ფრაქციას არ ემსჯელოს და თავისი დასკვნა და შეფასება არ გამოეტანოს.

ჩვენი ინიციატივით განხორციელდა არაერთი ღონისძიება:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ #5 და #7 ქუჩებს მივანიჭეთ სახელი;
- ჩვენი ინიციატივით შევქმენით მუნიციპალიტეტში მოქმედი წესი საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ერთ-ერთმა პირველებმა საქართველოში, უარი ვთქვით თანამდებობის პირებს აეღოთ სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი თვეში 500 ლარის ოდენობით. სანაცვლოდ სოფლის დეპუტატების ხარჯი გავხადეთ 500 ლარი ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე. მიგვაჩნია, რომ ამგვარი დამოკიდებულებით დეპუტატის საქმიანობა გაცილებით ეფექტური გახდება.
- დავადგინეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ესეც „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში საჯარო სამსახურში კონკურსის საფუძველზე იქნებიან დანიშნული კადრები. ჩვენ შეგნებულად, წინასწარგანზრახვით, მიზნობრივად შევარჩიეთ გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელსაც ვთხოვეთ ჩაეტარებინა აპლიკანტებისათვის კონკურსის I ეტაპი, რადგან ეს ცენტრი საკმაოდ კვალიფიციური და კომპეტენტურია მსგავსი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზებაში. პირადად მე გახლდით საატესტაციო კომისიის წევრი და თავად ვიყავი მომსწრე, თვითმხილველი და მონაწილე იმ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებებისა, რომელიც კომისიამ მიიღო ახალი კადრების შერჩევისას. ჩვენ ძალიან ბევრ ადამიანს მივეცით საშუალება, გამოეცადათ თავი, წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები და დასაქმებულიყვნენ საჯარო სამსახურში. განსხვავებით ადრინდელი პრაქტიკისა, როდესაც ხელისუფლების ცვლილებას საერთოდ ახალი კადრები მოჰყვებოდა ხოლმე, ნეპოტიზმით, კორუფციითა და ათასგვარი მახინჯი ფორმების გამოვლენით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინიციატივები გამოიჩინა ჩვენმა ფრაქციამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის და დამტკიცების დროს.

- გავზარდეთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ტარიფი. საკურორტო ზონებში ტარიფის დაბალი ზღვარი განსაკუთრებით დიდ ზარალს აძლევდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლის თანხა გაიზარდა 5 ლარამდე. ეს ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი თანხების აკუმულირებას. ამასთან ერთად არ არსებობს მშენებლობის ტემპების შენელების საფრთხე, რადგან მოსაკრებლის რაოდენობა დაგეგმილი პროექტების ღირებულებასთან შედარებით მიზერულია.
- ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მოცულობაც შეადგენს 50 000 ლარს. ამ თანხით დაფინანსდებიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც 2015 წლის ეროვნულ გამოცდებზე მიიღებენ 100 %-იან გრანტს. კონკრეტულად, თითოეულ ასეთ სტუდენტზე გაიცემა 3000 ლარი, ხოლო 1000 ლარით დასაჩუქრდება სკოლა, რომელმაც ასეთი ახალგაზრდის აღზრდას შეუწყო ხელი;
- ფრაქციის გადაწყვეტილებით, სოციალურად ნაკლებადდაცული მოსახლეობის დახმარების მიზნით ერთჯერადი სოციალური დახმარების პაკეტი 100-დან 150 ლარამდე გაიზარდა.

მინდა გაცნობოთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის ხელმძღვანელობის გარდა ვარ საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და ეთიკის----- კომისიის წევრი. მოგახსენებთ, რომ აქტიურად ვმონაწილეობდი ორივე კომისიის მუშაობაში . დავესწარი ორივე კომისიის მიერ ორგანიზებულ ყველა სხდომას.

აღსანიშნავია ჩვენი და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თანამშრომლობა. სიამოვნებით დავსძენ, რომ რიგ საკითხებზე ეს

ორგანიზაცია გვაწვდის საინტერესო რეკომენდაციებს, რომელსაც დიდი ყურადღებით ვეცნობით და ვითვალისწინებთ .

რაც შეეხება, ჩემს შეხვედრებს ჩემს თანასოფლელებთან, ჩემს ამომრჩევლებთან, არაოფიციალურის გარდა, მქონდა, ოფიციალური, გეგმიური შეხვედრებიც. სულ ჩავატარე 5 შეხვედრა, რაც დადასტურებულია ოქმებით. შეხვედრების დროს გამოიკვეთა პრობლემები:

- აჭარის დასახლებაში შიდა გზების მოხრეშვა და საზღვრების მოწესრიგება;
- სოფელ სილაურში შიდა გზების მოწესრიგება;
- ნაპირსამაგრი ჯებირების შეკეთება მდინარე სუფსაზე;
- დამწვარი ადმინისტრაციული შენობის შეკეთება;
- მოსახლეობის დასაქმება;
- ძეგორას უბანში 200 მეტრიანი გზის შეკეთება;
- გაზიფიცირება;
- გარე განათების მოწესრიგება;

მინდა გულწრფელად განვაცხადო, რომ მე ყოველთვის მზად ვარ მივიღო მოქალაქეები. ვცდილობ დავეხმარო მათ პრობლემის გადაჭრაში ან მივცე სასარგებლო რჩევა.

მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით გადაწყვეტილია:

- სოფელ სილაურში ადმინისტრაციული შენობის რემონტი;
- 400 მეტრი რკინა-ბეტონის გზის დაგება სილაურის სხვადასხვა უბანზე;
- მდინარე რობაზე კაპიტალური ხიდის გაკეთება;
- სიტყვიერად მიღწეულია შეთანხმება, რომ სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზა მოწესრიგდება.

ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14-ვე სხდომის მომზადებასა და მუშაობაში. მიღებულ იქნა 100 განკარგულება. დამტკიცდა 49 დადგენილება. გამოიცა 90 ბრძანება.მახარებს ის ფაქტი, რომ საკრებულოს მიერ მიღებული 153 საკითხიდან არც ერთი საკითხი არ ყოფილა ისეთი, რომელზედაც ჩემი თანხმობა არ დამეფიქსირებინოს. მიმაჩნია, რომ საკრებულოს უმრავლესობა ობიექტურ, სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებს.

თუ ჩემი დეპუტატობას შევაფასებ, გამოვყოფ რამდენიმე საკითხს, რომელიც სასიამოვნოცაა და ერთგვარ დისკომფორტსაც მიქმნის.
დადებითია ის, რომ :

- გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი; საკუთარი თვალით ვხედავ პრობლემებს და ვზრუნავ მათი გადაჭრის გზებზე; და პოზიტივით მავსებს სხვისთვის გაწეული სამსახური;

უარყოფითი კი ის, რომ:

- ვხვდები უამრავ გაჭირვებულს და ვერ ვახერხებ მათ დახმარებას; ასევე ძალიან რთულია დაკისრებული პასუხისმგებლობის ტარება;